სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

Research

სექტემბერი 2023

2023 წლის სექტემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **168 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 268 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **124 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში **595 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 780 ლარი შეადგინა, თბილისში - 623 ლარი, კახეთში - 514 ლარი, ხოლო აჭარაში - 460 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 სექტემბერი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2023 წლის სექტემბერში, 2023 წლის აგვისტოსთან შედარებით, 6.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6.6%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.9%-ით შემცირდა.

2023 წლის სექტემბერში, 2022 წლის სექტემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 10.0%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.8%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 14.3%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 სექ/ 2023 აგვ	2023 სექ/ 2022 სექ	2023 სექ/ 2023 აგვ	2023 სექ/ 2022 სექ	2023 სექ/ 2023 აგვ	2023 სექ/ 2022 სექ
კახეთი	-0.8%	5.8%	-12.2%	-1.8%	4.8%	9.3%
იმერეთი	0.2%	2.5%	0.4%	6.6%	-0.1%	-2.6%
გურია	-6.8%	33.4%	-19.8%	43.9%	8.4%	14.7%
ქვემო ქართლი	8.5%	-	0.0%	-	17.6%	-
აჭარა	-21.4%	-11.9%	-20.1%	-11.4%	-26.0%	-11.6%
რაჭა	26.6%	-0.5%	-	-	26.6%	-0.5%
შიდა ქართლი	-5.9%	-16.3%	-9.1%	-14.1%	-4.6%	-18.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-0.5%	7.2%	-6.2%	-0.2%	3.8%	13.8%
სამცხე-ჯავახეთი	-8.7%	13.8%	-1.7%	11.0%	-13.7%	15.5%
მცხეთა-მთიანეთი	-5.6%	-7.2%	-3.4%	-1.1%	-9.9%	-20.8%
თბილისი	-0.3%	-15.8%	-0.6%	-15.1%	2.3%	-23.0%
სულ ფასების % ცვლილება	**-6.2%**	**-10.0%**	**-6.6%**	**-9.8%**	**-5.9%**	**-14.3%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2023 წლის სექტემბერში, 2023 წლის აგვისტოს ფასებთან და 2022 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.